

მონიტორინგის მთავარი მიზნები

18, 19-29 ივნისი

19-29 ივნისის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- იმატა ანტიდასავლურმა განწყობებმა და შუღლის გაღვივებამ როგორც ამერიკელების (თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი), ასევე ევროპელების და ზოგადად უცხოელების მიმართ (საქინფორმი), რაც ორივე შემთხვევაში დაუდასტურებელი ფაქტების საფუძველზე ხდებოდა: პირველ შემთხვევაში ე. წ. "ამერიკული ლაბორატორიიდან" ვირუსების

გავრცელებას, რაც თითქოს ერის გადაშენებაზეა მიმართული; მეორე შემთხვევაში - თითქოსდა უცხოელთა ხელშეწყობით ადამიანთა ორგანოების ამოკვეთას და ვაჭრობას. საქინფორმის მასალას თან ახლდა ერთი მხრივ, დასახიჩრებული გვამის, ხოლო მეორე მხრივ, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, მისი მეუღლის სანდრა რულოვსის და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ერთობლივი სურათი;



გაგრძელება გვ. 2

სიძულვილის ენა და დისკრიმინაციული გამოხატვა პოლიტიკურ დისკურსში

20 ივნისს ევროპის სახლში მედიის განვითარების ფონდის მონიტორინგის "სიძულვილის ენა და დისკრიმინაციული გამოხატვა პოლიტიკურ დისკურსში" და საერთაშორისო გამოცდილების შესახებ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის კვლევის პრეზენტაცია გაიმართა.



მონიტორინგი (17 თებერვალი -17 მაისი) ასახავს რამდენად ხშირად მიმართავენ პოლიტიკური პარტიები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები, პოლიტიკური თანამდებობის პირები, საჯარო მოხელეები და სხვა პოლიტიკურად აქტიური პირები სიძულვილის ენასა და დისკრიმინაციულ გამოხატვას საჯარო გამოსვლების დროს.

შინაარსი

შუღლის გაღვივება	2
სიძულვილის ენა	3
მიწის გასხვისების საკითხი ქსენოფობიურ კონტექსტში	3-4
ქსენოფობია	4
ანტიდასავლური განწყობები	5-7
ჰომოფობია	8
ანტიდისკრიმინაციული კანონი	8

მონიტორინგის მთავარი მიგნებები

- სიმულვილის ენას უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლების, ამერიკელების (ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი); ნაციონალური მოძრაობის (რეზო ამაშუკელი, პოეტი; ლელიკო ჯაფარიძე, მომღერალი); ლგბტ ჯგუფების (გაზეთი "ასავალ-დასავალი") მიმართ ჰქონდა ადგილი;
- იმატა ქსენოფობიურმა შეფასებებმა, მათ შორის მიწის საკუთრების კონტექსტში, რაც უკავშირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც უცხოელებზე მიწის გასხვისების მორატორიუმი ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდა;
- ანტიდასავლური განწყობები უკავშირდებოდა როგორც ევროინტეგრაციის პროცესს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგებლების საქმიანობას, რაც დასავლეთის დაფინანსებით ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად იყო შეფასებული;
- ჰომოფობიურ შეფასებებს როგორც მედია, ასევე ცალკეული რესპონდენტები მიმართავდნენ. ამ კონტექსტში კვლავ აქტუალური იყო ანტიდისკრიმინაციული კანონის თემა.

შუღლის გაღვივება

ასავალ-დასავალი, 23-29 ივნისი თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი

მინისტრი: "ვირუსული მენინგიტი, რომელმაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში ასობით ბავში დაავადა, ხელოვნურად გაშვებული ვირუსია იმ ლაბორატორიებიდან, რომელიც სააკაშვილმა ამერიკელებთან ერთად დაარსა! უკვე გავრცელებული ვირუსი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მომავალში უნდა ველოდოთ. არსებობს ვირუსები, რომელიც მამაკაცებში იმპოტენციას იწვევს, ქალებში კი - უშვილობას. ეს კი უმარტივესი ხერხია ერის გადასაშენებლად... საინტერესოა, რომ ასეთივე ლაბორატორია ამერიკელებმა დაარსეს უკრაინაში."

საქინფორმი, 24 ივნისი

"... მემარჯვენე სექტორსა და უკრაინის არმიაში გამოჩნდნენ უცხოელი ექიმები სპეციალური ვილობით, რომლებიც მოკლულთა და მძიმედ დაჭრილთა ორგანოების ამოკვეთას ეწეოდნენ..."

„სლავმა სახალხო მოლამქრეებმა კარაჩუნის

შორიახლო 180 დაღუპული და მუცელგამომოვარტული ნაცვარდიელის გვამი იპოვეს... წინა სადამოს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იქ წითელი ჯვრის მანქანა შენიშნეს“...

საქართველოს შსს-მ გამოაქვეყნა საიდუმლო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც საქართველოში ყოველწლიურად უზოუკვლოდ იკარგებოდა ასობით ადამიანი, ხოლო პოპულარული ქართული ყოველკვირეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ არაერთგზის აცხადებდა, რომ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა საქართველოდან უცხოეთში ექს-პორტული ლედი სანდრა რულოვსის არალეგალურ ბიზნესს წარმოადგენდა...

ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ევროინტეგრაციის ზოგიერთი მომხრე ევროპაში სხვებზე ადრე აღმოჩნდება, ოღონდ ნაწილ-ნაწილ."

<http://saqinform.ge/index.php?>

[option=com_content&view=article&id=19381:2014-06-24-09-56-31&catid=109:arno&Itemid=538#ixzz37diVSY24](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19381:2014-06-24-09-56-31&catid=109:arno&Itemid=538#ixzz37diVSY24)

სიძულვილის ენა

GEWORLD.GE, 18 ივნისი

ჰამლეთი ჭიკაძე, პოლიტოლოგი: "... რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარე ტურჩინოვს, პირწავარდნილი ბაპტისტია. უკრაინის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები კი გადავარებული ადამიანები არიან. მაგალითად, შს მინისტრი ავაკოვი რომ მამათმავალი და პედოფილია, მთელმა უკრაინამ იცის. ამერიკამ, ისევე, როგორც 2003 წელს საქართველოში, უკრაინაშიც ავადმყოფთა კლანი მოიყვანა ხელისუფლებაში, იმიტომ, რომ ამერიკელებიც ავადმყოფები არიან. და ვინ არის ამ ყველაფრის წინააღმდეგი? რა თქმა უნდა, პუტინი და რუსეთი და, საზოგადოდ, მართლმადიდებლური სამყარო."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5979>

რეპორტიორი, 17 ივნისი

რეპორტიორი აბაშვილი, პოეტი: „ერთი თითის აშვერა უნდა, თქვენი სახლებიდან გამოყრას [იგულისხმება წინა ხელისუფლების წევრები და მომხრეები], თქვე უბედურებო, სისხლისმსმელებო, დაგავიწყდათ ყველაფერი?!.. ვინ გაეკარა „თავისუფლების ინსტიტუტს“, ჩემი შვილიც რომ ყოფილიყო, ქვეყნის მტერია... ხვალამდე ჩემო შვილის ნუკრებო, ჩემო მოკუნტრუშე კრეტინებო... რასაც მეტს დაწერთ, უფრო მეტს მიიღებთ ცხვირ-პირში. კარგად ბრძანდებოდეთ, თქვენი რეზოამაშუკელი“.

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=30463>

ასავალ-დასავალი, 23-29 ივნისი

ლემიძე ჯავახიძე, მომღერალი: „...გვეჩიხლება ნაციონალები, გული გვერევა მათზე. ნაციონალების დანახვას მირჩენია, გველი დავინახო და საწამლავი დავლიო!“

გიორგი ბიბაშვილი, ჟურნალისტი: "ანუ ჩვენი ძველი ნაცნობის - ჯონ მაკ-კეინის თანაპარტიელმა სკოტ ესკმა, მიკიბულ-მოკიბულად, მაგრამ მაინც აღიარა, რომ მამათმავლების ქვებით ჩაქოლვა „სავსებით სამართლიანი“ სასჯელი გახლდათ!"



მიწის გასხვისების საკითხი ქსენოფობიურ კონტექსტში

ალია, 26 ივნისი

შანა ასანიძე, ჟურნალისტი: “ბატონო გოგი, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მორატორიუმი [გადაწყვეტილება, რომლითაც უცხოელებზე მიწის გასხვისებაზე შეზღუდვა ანტიკონსტიტუციურად ჩაითვალა], ახლა უცხოელები ისევე კალიბრით მოედებენ ალბათ მთელ ქვეყანას და ქართული მიწების ყიდვას გაათმაგებულად შეეცდებიან...”

გიორგი თოფაძე, ქართული ოცნება: „ეს არის აბს-ურდული გადაწყვეტილება, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი მიწების გასხვისება რას ნიშნავს, ინდოეთის მადას ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ, მათი ქვეყანა მცირემიწიანია და ბევრი ინდოელი ყიდულობს აქ მიწას. იგივე ირანელები, თურქები, ჩინელები, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არაობიექტური და არასახელმწიფოებრივია.“

...ეკონომიკამ შეიძლება მოიგოს, ან წააგოს, მაგრამ ჩვენი შთამომავლობა, შვილები და შვილიშვილები დარჩებიან მუშუბად თავის-სავე მიწაზე.“

ნეტგაზეტი, 29 ივნისი

ილია მმორე, საქართველოს პატრიარქი:

"ჩვენ გაგვანია ისეთი ფასეულობა, რომლის გაყიდვა მართლა არ შეიძლება, ეს არის ქართული მიწა, ქართული წყალი, მე ვგულისხმობ წყაროს წყალი, მდინარე, საბადოები. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ რთულ დროს, როცა შეიძლება ეს ფასეულობა, რომლითაც არსებობს ქართველი ხალხი, ჩვენ მთლიანად დავკარგოთ, რადგან სხვებს გააჩნიათ ბევრი საშუალება და ფული, რომ იყიდონ ეს ყველაფერი, უცხო ხალხსა და უცხო ქვეყნებს, და შეიძლება საქართველო დარჩეს სრულიად ცარიელი".

<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/33197/.htm>

გიორგი თოფაძე,

ქართული ოცნება:

„...თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი მიწების გასხვისება რას ნიშნავს, ინდოეთის მადას ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ, მათი ქვეყანა მცირემიწიანია და ბევრი ინდოელი ყიდულობს აქ მიწას. იგივე ირანელები, თურქები, ჩინელები... ეკონომიკამ შეიძლება მოიგოს, ან წააგოს, მაგრამ ჩვენი შთამომავლობა, შვილები და შვილიშვილები დარჩებიან მუშუბად“

მიწის გასხვისების საკითხი ქსენოფობიურ კონტექსტში

დასაწყისი გვ. 3

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 25 ივნისი

სოსო მანჯაშიძე, პატრიოტა ალიანსი:

„როცა სახელმწიფო, ამ საკანონმდებლო რეგულაციას გიტრიალებენ საპირისპიროდ იმისათვის, რომ ვიღაც მოვიდეს... აჭარას შეისყიდის თურქეთი... გადაყიდის აგრეთვე მეზობელი სომხეთი ჯავახეთის, ნინოწმინდის და წალკის ტერიტორიებს, ქვემო ქართლი გადავა აზერბაიჯანის... ეს არის პოლიტიკური ფული და რუსეთი რას იყიდის და რას გააკეთებს და რას იზამს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია ხომ?!“

http://www.myvideo.ge/?video_id=2364518

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 25 ივნისი

ზონდო მინარაშვილი კითხულობს სოსო

ქსენოფობია

ალია, 20-23 ივნისი

სოსო ჯაჭვლიანი, ქართული ოცნება: „...ამ კანონის [ანტიდისკრიმინაციული] მიღებამდე, ორი დღით ადრე, საბურთალოზე 15 წლის ბიჭი სამმა ერაყელმა რომ იხმარა და ჩვენი ტელევიზიებმა გადასცეს, სად იყო მაშინ ჩვენი საზოგადოება? სამ დღეში ანტიდისკრიმინაციული კანონი უნდა მიგვეღო... აბა, გამოსულიყო 200 ათასი კაცი და პასუხი მოეთხოვა იმ სამი ერაყელისთვის მერე აღმოჩნდა, თურმე ესენი აგენტებიც ყოფილან.“

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 21 ივნისი

ტელემაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]: „...საქართველო მთლიანად საკრალური ქვეყანაა, ძირს უთხრის ყველა უცხოელი, შევასიეთ უცხოელები, ახალქალაქში ნახეთ? ჩინური კომპანია, თურქულ კომპანია აკეთებს ჰესს და ნებისმიერ ადგილზე, აქეთ ქვიშეთი... უცხოელებს მივეცი ქვეყანა საჯიჯგნად...“

http://www.myvideo.ge/?video_id=2362278

ტელემაყურებელი: „...ანუ უცხოელი სტუმრის ფეხის შემოდგმა, დაკავშირებული იყო ქვეყნის უკუსვლასთან და ბარაქს წართმევასთან.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2361989

კპირის ძორნიკა, 16-22 ივნისი

ცნობა გარდაბანში მომხდარი ინციდენტის შესახებ, სადაც პოლიციელთა ეთნიკური კუთვნილება უსაფუძვლოდ არის იდენტიფიცირებული და ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანელმა პოლიციელებმა ორი სვანი ახალგაზრდა ცემეს, მხოლოდ ერთი წყაროს მონათხრობს ეყრდნობა.

ზაზა ბელოშანი, კვალიცია ქართული ოცნების საზოგადოებრივი დარბაზის ყოფილი თავმჯდომარე: „ეს პოლიციელები ეთნიკურად აზერბაიჯანელები იყვნენ და ეს სვანი ბიჭები პოლიციის სამმართველოს ქართველი უფროსის თვალწინ სცემეს... ამას არ შევარჩენთ! არც ერთი გაიძვერა აზერბაიჯანელი არ დარჩება სამართალდამცავ სტრუქტურაში, არცერთ იმ ადამიანს არ დავტოვებთ დაუსჯელს, ვინც ამ ეთნოკონფლიქტს აღვივებს.“



სოსო მანჯაშიძე, პატრიოტა ალიანსი:

„აჭარას შეისყიდის თურქეთი... გადაყიდის აგრეთვე მეზობელი სომხეთი ჯავახეთის, ნინოწმინდის და წალკის ტერიტორიებს, ქვემო ქართლი გადავა აზერბაიჯანის... ეს არის პოლიტიკური ფული“ ...

ანტიდასავლური განწყობები

**ოზიმატივი, ღამის
სტუდია, 25 ივნისი**

**სოსო მანჯავიძე, პატრი-
ოტა ალიანსი:** „გამჭვირვა-
ლობის იდეა შეუთავსებელია
ნაციონალური სახელმწიფო-
ების იდეასთან ეროვნული
სახელმწიფოების იდეასთან,
ეროვნული სახელმწიფოების
რეგულაციები მოსპობილი
უნდა იქნას, ეს სინამდვილე-
ში არის იდეოლოგია რომე-
ლიც გულისხმობს ტრანსნაც-
იონალური კომპანიების და
ძლიერი სახელმწიფოების შე-
უზღუდავ ბატონობას მესამე
ქვეყნებში, მათი სახელმწიფო
რეგულაციების მოშლას და
მათი შეუზღუდავი რესურსე-
ბის გამოყენებას შეუზღუდა-
ვად“...

[http://www.myvideo.ge/?
video_id=2364534](http://www.myvideo.ge/?video_id=2364534)

რეპორტიორი, 26 ივნისი

**ელიზბარ ჯავახიძე, სა-
ხალხო კრება:** „მე ვიცი [ასო-
ციირების] ხელშეკრულების
ერთი ნაწილი, სადაც მოზრ-
დილი პარაგრაფი ლგბტ
ინსტიტუტის დამკვიდრებას
და გაძლიერებას ეძღვნება.
ასევე, შემაფოთებელია ის
გარემოება, რომ მიწის ყიდვა-
გაყიდვაზე მორატორიუმი,
სწორედ ასოციირების ხელშე-
კრულების ხელისმწიფრამდე 1
დღით ადრე გაუქმდა. გამო-
დის, რომ ამ ხელშეკრულებ-
აში ჩადებული საკითხები
ქვეყანას ანადგურებს“.

[http://www.reportiori.ge/?
menuid=3&id=31298](http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=31298)

ალია, 24 ივნისი

**ელიზბარ ჯავახიძე, სა-
ხალხო კრება:** „ეს კოჟორიძე-
ები ეს გიგაური და ლომჯარ-
ია, იურისპრუდენციას რომ
მიყალიბებენ... ამერიკიდან
და უცხოეთიდან რომ ფინ-
ანსდებიან, იმიტომ, არიან

ხელშეუხებლები?“

GEWORLD.GE, 25 ივნისი

**ელიზბარ ჯავახიძე, სა-
ხალხო კრება:** „კოჟორიძე, გი-
გაური, ლომჯარია და სხვები
უცხოეთიდან ფინანსდებიან,
პირდაპირ ვამბობ, ისინი არ-
იან აგენტები. როდესაც საზ-
ღვარგარეთიდან გიხდიათ
ფულს და შენი ქვეყნის წინა-
აღმდეგ ნაბიჯს დგამ, აგენტი
ხარ... ქართველი ერის ვინა-
ობა კითხვის ნიშნის ქვეშ
დგას. თუ ამ საკითხს დროზე
არ მოველო, ცოტა ხანში საქ-
ართველოს არსებობა დადგე-
ბა კითხვის ნიშნის ქვეშ“.
[http://www.geworld.ge/ViewGE.php?
G=10850](http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=10850)

**ასაგალ-ღასაგალი, 16-
22 ივნისი**

**მამუკა არაშიძე, ექსპერ-
ტი:** „...ასოციირების ხელშე-
კრულების ხელმოწერის შემდ-
ეგ კატეგორიულად მოგვთ-
ხოვენ მაკმადიანი მესხების
საქართველოში დაბრუნებას
და ეთნიკური უმცირესობე-
ბის ენებისთვის რეგიონალ-
ური ენების სტატუსის მინიჭ-
ებას!

საქართველო პოლიტიკურად
და ეკონომიკურად ამ ყველა-
ფრისთვის დღეს არ არის
მზად და, შესაძლოა, სერიოზ-
ული კატასტროფის წინაშე
აღმოვჩნდეთ!“

**ოზიმატივი, ღამის
სტუდია, 22 ივნისი**

**კამლბტ ჭიკაშვილი, პო-
ლიტოლოგი:** „ეს რაც ეხლა
გადმოგვიგდეს [ასოციირების
ხელშეკრულება] და რაც გად-
მოუგდეს... ყოფილ საბჭოთა
რესპუბლიკებს, ეს არის უზრ-
ალოდ შემადგენელი ნაწილი
იმ, მე ვიტყვოდი, საკმაოდ
მზაკვრული გეგმისა, რომელ-
იც დამუშავდა დასავლეთში

და ჩვენ რატომღაც ამ გეგმის
პაიკები ვართ, ანუ პეშეები...“

...ჯერ ერთი თვითონ ევროკა-
ვშირში, ვთქვათ ევროკავში-
რის წევრი გახდი, ე.ი. ეს რას
ნიშნავს იცით, რომ თქვენ უნ-
და გახდეთ მონა ევრო-
კავშირის.“

[http://www.myvideo.ge/?
video_id=2363639](http://www.myvideo.ge/?video_id=2363639)

**ასაგალ-ღასაგალი, 16-
22 ივნისი**

**ბასილ მკალაშიშვილი,
მღვდელი:** „...ჩემი დაპატიმ-
რებით მიხეილ სააკაშვილის
„ვარდების ხელისუფლებამ“
ოკეანის გაღმელ მძებს აამა
და უთხრა - „ხომ ხედავთ,
იელოველების წინააღმდეგ
მებრძოლ მღვდელს რა ვუქ-
ენით და რა დღეში ჩავაგდ-
ეთო?!“

ალია, 25 ივნისი

**ბასილი მკალაშიშვილი,
მღვდელი:** „თქვენ ვერ წარმო-
იდგენთ, მთელი მსოფლიოს
მასშტაბით რა ბრძოლა მიმ-
დინარეობს მართლმადიდებ-
ლობის წინააღმდეგ. შეგახსე-
ნებთ, რომ იელოველთა სექტა
შემოგზავნილი იქნა აგენტუ-
რული საქმიანობისთვის, რა-
თა გზა განემზადებინა შემდ-
ეგი მტრებისთვის სწორედ
სოროსისა და ზუჟინსკის და-
ფინანსებით იქნა შემოგზავ-
ნილი 50-იანელები, ევანგელ-
ისტები, ხსნის არმიისა და
სხვა ათასი რჯულის დაჯგუ-
ფებები, ბოლო კი მოაყოლეს,
მამათმავლები და ლესბოსე-
ლები, ისე გათამამდნენ ქალ-
აქის ცენტრში მოგვიწოდეს
გარყვნილების, სიბილწის
ჩვენება... როგორ გაგვიბედეს
17 მაისს (მათი საერთაშორ-
ისო დღის) დაკანონება საქარ-
თველოში?“

გაგრძელება გვ. 6

ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 5

ასაგალ-დასაგალი, 23-29 ივნისი

თიმურ შაშიაშვილი, თეთრები [კოალიცია ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია]: „1993 წლიდან ნელ-ნელა იზრდებოდა მასონების, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლების და სოროსელების პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს ხელისუფლების შემადგენლობაში... 2014 წლის თვითმართველობის არჩევნებმა კი სოროსიზაცია უკვე ადგილობრივ დონეზე დააგვირგვინა. მისია შესრულებულია და ცხადია, ეს მივულოცე ბატონ ნორლანდს. დღეს გამარჯვებული არა რომელიმე პარტიაა, არამედ ცენტრი, საიდანაც იმართება ეს ორივე პოლიტიკური ძალა.“

ოზიმქტივი, ღამის სტუდია, 25 ივნისი

მრეკლე საღლიანი, მწერალი: „მე პირდაპირ ვიტყვი, თუ ევროკავშირში, ნატოში შესვლა მიჯდება მე სამშობლოს ფასად, მე არც ასეთი ევროკავშირი მინდა და არც ნატო არ მჭირდება... საბჭოთა იმპერია შეცვალა სხვა იმპერიამ, ეს თუ ფიზიკურ ძალას იყენებდა და ცდილობდა, რომ ჩექმის ქვეშ ვყოლოდით, აი, ეს მეორე ძალა უფრო მუხანათური გზით ცდილობს ჩვენს დაპატრონებას.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2364507

ოზიმქტივი, ღამის სტუდია, 29 ივნისი

მაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]: „... ყველაფერს ახლა დაიკავენ ევროპა, მით უმეტეს რომ წინასწარ მოუმზადეს პლაცდარმი ჯერ იმ კანონით რომ მიიღეს ელგებეტე საზოგადოების კანონი, შემდგომ მიწების გაყიდვაზე მოხსნეს მორატორიუმი.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2366908

ოზიმქტივი, ღამის სტუდია, 28 ივნისი

ტელემყურებელი: „ევროკავშირთან ურთიერთობით ჩვენ ძალიან ბევრი საფრთხე გამოვიარეთ... უკრაინაში რაც უბედურება ხდება, ამაში დამნაშავე არის ევროკავშირი.“

ასაგალ-დასაგალი, 23-29 ივნისი

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: „დიახ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ ცოტა ხნის წინათ უკვე მოითხოვა ერთი მსხვერპლი ე.წ. „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ სახით და სულაც არ არის გამორიცხული, მერობის გადავადებაც [დავით ნარმანიას მეორე ტურში მონაწილეობა] ამ სცენარის ნაწილი იყოს.“

...როგორც ჩანს, საქართველოში ჯერჯერობით პრიორიტეტული ისევ ამერიკული ოცნებაა, ხოლო ქართული ოცნება მის ტყვეობაშია!“

ოზიმქტივი, ღამის სტუდია, 29 ივნისი

ბია არაშიძე, წამყვანი: „...იმდენად კრიზისში არიან [ევროპაში] მართლა აზროვნებით, ტარაკანების, ხოჭოების უფლებები იყო შიგ ჩაწერილი, ნუ ეხლა რაზე ვილაპარაკოთ, ელგებეტეს უფლებებს იცავენ და ტარაკანების უფლებებზე იყვნენ გადასული.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2367118

http://www.myvideo.ge/?video_id=2367115

GEWORLD.GE, 25 ივნისი

ღამით მხიპე, ჟურნალისტი: „დასავლეთის იმ ქვეყნებშიც, სადაც ჯერ კიდევ არ არის დაკანონებული ერთსქესიანთა ქორწინება, ელ-გე-ბე-ტე-პედერასტების პარპაში გარანტირებულია სწორედაც რომ ანტიდისკრიმინაციული კანონებით და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება

მხოლოდ დროის საქმეა!“ **გაგრძელება გვ. 7**



ბია არაშიძე, წამყვანი:

„...იმდენად კრიზისში არიან [ევროპაში] მართლა აზროვნებით, ტარაკანების, ხოჭოების უფლებები იყო შიგ ჩაწერილი, ნუ ეხლა რაზე ვილაპარაკოთ, ელგებეტეს უფლებებს იცავენ და ტარაკანების უფლებებზე იყვნენ გადასული.“

ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 6

GEWORLD.GE, 18 ივნისი

ჯაბა შვანია, ჟურნალისტი: „...მანანა კობახიძის განცხადება, რომელსაც საეჭვოდ დავემთხვა ინტერნეტში გავრცელებული ვიდეო-პერფორმანსი სახელწოდებით: «საქართველოში ქალებს კლავენ», სხვა არაფერია, თუ არა ევროპაში გამეფებული უზნეობისა და უხამსობის, გარყვნილებისა და ამორალურობის საქართველოში გადმონერგვის სურვილი. სწორედ ამ იდეით შეპყობილი რესპუბლიკელები ახლა წელზე ფეხებს იდგამენ, ეკლესია და პატრიარქი ცოცხლად რომ დამარხონ, თვითონ კი ამის შემდეგ მშვიდად მოკალათდნენ ფუმფულა სავარძლებში, რადგან დასავლეთის დირექტივაც პირნათლად ექნებათ შესრულებული და თავიანთი პარტიული ამოცანაც.“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5975>

კპირის ქრონიკა, 16-22 ივნისი

სათუნა მლბაქიძე, ჟურნალისტი: „ხელისუფლება არ აკონტროლებს დასავლეთიდან შემომავალი უზარმაზარ ფულის მასას, რომლითაც ის არასამთავრობოები ფინანსდებიან, რომლებიც შემდგომში ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლით გამოირჩევიან და ხშირად, მის წინააღმდეგ პროვოკაციებსა და ცილისმწამებლური კამპანიის აგორებასაც არ ერიდებიან. ეს არასამთავრობოები, ადამიანის უფლებათა დამცველთა მანტიას ამოფარებულნი, ებრძვიან ეროვნულ ფასეულობებს, ლობიობენ სხვადასხვა სექტანტურ დაჯგუფებებს, ღია თუ ფარულ პროპაგანდას უწევენ მრავალ უზნეობას, ცდილობენ, შელახონ ტრადიციული ქართული ოჯახი და ოჯახური ღირებულებები... საპატრიარქოში მიაჩნიათ, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და მისი მთავრობა ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევენ დასავლეთიდან მართულ პოლიტიკურ ძალებს...“

GEWORLD.GE, 18 ივნისი

ჯაბა შვანია, ჟურნალისტი: „ევროინტეგრაციის ვირუსმა «ქოცებს» მორალისა და ზნეობის იმუნიტეტი ისე დაუქვეითა, რომ უმრავლესობის მოეროვნულ-მოეკლესიურო ელემენტები ღვთის გმობასაც აღარ ერიდებიან.“

საქინფორმი, 18 ივნისი

„აშშ-ში დაასაბუთეს უკრაინის, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფოს, ლიკვიდაციის აუცილებლობა მესამე მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად... ამერიკელმა სპეციალისტებმა ევროპაში დესტაბილიზაციის დეტალური გეგმა შეიმუშავეს.“

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19308:2014-06-18-14-19-05&catid=101:ucxoeti&Itemid=385#ixzz35Y4qmqML

ოზიქტივი, ღამის სტუდია, 22 ივნისი

პალმირი კპარაცხელია, წამყვანი: „ამერიკელები და ევროპელები სამწუხაროდ ტერორისტებთანაც კადრულობენ ურთიერთობას, სახელმწიფო გადატრიალების მომწყობ სამხედროებთანაც კადრულობენ ურთიერთობას, ახლა აგერ ფაშისტებთან კადრულობენ ურთიერთობას უკრაინაში...“

http://www.myvideo.ge/?video_id=2363720

ჰომოფობია

პირის ქრონიკა, 23-29 ივნისი

ნანა სულაზა, ჟურნალისტი: „როგორ ქვეყანას ვაშენებთ - სამართლებრივ სახელმწიფოს თუ ისეთს, სადაც პედოფილების, პედერასტებისა და ზნეობრივად გადახრილი ადამიანების უფლებებს დავიცავთ, მკურნალობით, კი ბატონო, უმკურნალონ, ისიც ანონიმურად და ნუ გამოაჭენებენ საზოგადოებაში...“

ალია, 25 ივნისი

ბასილ მკალავიშვილი, მღვდელი: „2013 წლის 17 მაისს, როცა თითქმის მთელი თბილისი რუსთაველის პროსპექტზე გავიდა და გაილაშქრა ვიღაც 50-ამდე ზნედაცემული გარყვნილი, გათახსირებული მამათმავლებისა და მათი დამცველი ქვასროლია ბოკერიას წინააღმდეგ. ეს დღე იყო დასტური იმისა, რომ ქართველი ერი ისევ ქართველობს, თავისი კულტურით, ადათ-წესებით, ზნეობით, ტრადიციებით, ჭეშმარიტი რწმენით.“

პირველი, 25 ივნისი

სოფო ტოროშვილი, მომღერალი: „ჰომოსექსუალებო, რაღაც ძალიან გამრავლდით! საამ-კარაოზე გამოვინეთ ყველაფერი... არაფერს არ მიშვებენ საერთოდ და არც მაწუხებენ! უბრალოდ მიკვირს, რომ ასე უცებ დაიკიდეს ყველაფერი, აღარ მალავენ. რაღაცაში ხომ არ არის საქმეთქო, რა ვიცი.“

http://pia.ge/show_internet_daijest_news.php?id=4255&lang=geo

ასავალ-დასავალი, 16-22 ივნისი

ირინა სარიშვილი, პარტია „იმედი“: „არცერთ ადამიანს არ ვართმევ არსებობის და ცხოვრების უფლებას, მაგრამ კატეგორიულად ვერ მივიღებ, ჰომოსექსუალმა, ვეგეტარიანელმა თუ სხვამ თავისი უფლებები ჩემზე წინ დააყენოს.“

ანტიდისკრიმინაციული კანონი

ასავალ-დასავალი, 16-22 ივნისი

ბასილ მკალავიშვილი,

მღვდელი: „სწორედ იელოვ-ელებმა განუშაადეს გზა იმ სიბილწეს, რაც პარლამენტმა დააკანონა [ანტიდისკრიმინაციული კანონი]... ამ კანონის ამოქმედებით ყოველგვარ სიბილწეს ისედაც აღასრულებენ.“

ასავალ-დასავალი, 23-29 ივნისი

თინგიზ კიტოვანი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი:

„... ამჯერად არეულობას მოახდენს არა კიტოვანი, არამ-

ედ მთავრობის ანტიეროვნული პოლიტიკა, დამნაშავეთა დაუსჯელობა, პედერასტობის ლეგალიზაცია“...

რეპორტიორი, 29 ივნისი

თამაზ ჟივჭივაძე, მწერალი:

„ადრე თუ გვიან, ეს „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ მარტო „პედერასტობით“ აღარშემოიფარგლება - ერთსქესიანთა ქორწინებასაც შემოიერთებს!“

ასავალ-დასავალი, 23-29 ივნისი

ელიზბარ დიაკონიძე,

დეკანოზი: „...წინააღმდეგობა

ვერცერთმა ვერ გასწია, ისე დაგვახმეს მთელ ერს პედერასტების დასაცავად შეთითხნილი და ყურით მოთრეული კანონი!“

გიორგი ბიბაური, ჟურნალისტი:

„საქართველოს გაღურჯებაზე საჯარო მსჯელობა, დამეთანხმეთ ერთობ უხერხულად ჟღერს იმ მმართველი ძალის წარმომადგენლისგან, რომელმაც სულ ახლახან ზარ-ზეიმით მიიღო საქართველოს „გაცისფერებისთვის“ გამიზნული „ანტიდისკრიმინაციული კანონი“!“